

სახელმწიფო გამარტინი

კატარა კაცი

(„ჩუქურთმიდან“)

განსვენებულის სიმონ-მღვდელის დიდი იმედები ვერ
გაამართლა მისმა ვაჟმა, დედის ერთა გრიგოლამ.

მართალია, თვით ცხონებული განსაკუთრებული, თით-
ქმის შეუძლებელი წარმოდგენა ჰქონდა შვილის მომავალზე.

მანც, როცა ჩალევდა სადმე ალაპზე და მოვიდოდა სახ-
ლში ორუბელივით გაბუჟუჟებული, პირზე უნელილ მოკიდე-
ბული, გაიხდიდა ანაფორას და ცოლს მიუგდებდა; მოიხდიდა
ფართო, რბილ, გაცრეცილ ქუდს და მოლზე დააგდებდა; გა-
იხსნიდა კაბას და გამოიჩენდა შეყვითლებუ-განაცრისფერებულს
ჰერანგს, არხენად დაჯდებოდა ტოტებ აკამიშებულ კოპიტის
ძირში მიუშვერდა შუბლს მაგრილებელ სიოს და იწყებდა
ფიქრს, რომელიც მალე გადადიოდა ოცნებაში.—ო!—მაშინ
ეჩვენებოდა მამას შვილის უსაზღვრო ბელნიერება, სიმღიდრე
და ყოველი სიკეთე ამა ქვეყნისა.

— თლად, ცუდად არ ჩამიტარებია, ღვთის მაღლით, ჩე-
მი წუთი სოფელი. ყოველგან კაცს მეძახიან. სხვა ღვდლები
თუ ცხოვრობენ, ჩვენც ვკამთ პურს არსებისას. ლერთი ხომ
არის მოწამე, თუ შემძლებია ბევრს ქე დავხმარებივარ. სხვის-
თვის არ წამირთმევია, ენა ბეზღობით და წელში მოხვრით
წინ არ წავშეულვარ, მარა ჩემისთანა გაუნათლებელთან შე-
დარებით კარგად მოვეწყვე. მრევლი დიდია და მაღლიერი.
ცოლი მომჭირნე დედაკაცია. ე. ჩემა შვილი კი გამომაჩენს,
ჩემს სახელს არ გააქრიბს: ღმერთს ქრისტიანს მივართმევ,
ქვეყანას—მსახურს შევძენ. მეტი რა უნდა მექნა: კაი ათი თუ-
მანი ქე დამიჯდა მისი მომზადება, მარა დროზედაც ქე შევი-
ყვანე კლისში. ცხრამეტი წლის რო იქნება სემლარისა გაათა-
ვებს... მერე აკადემიაში წავა... იქაც გაათავებს... მერე დამი-
ბრუნდება... არა! რატომ?.. ჯერ ჯანსაღი ვარ... ხელს შეუ-
წყობ... გენერალი შტაბის სულ გუბერნატორები გამოდიან
—ისიც გაათავეს... გევიწვალებ თაქს, მაგირად ყველაფერ
გათავებული რომ ჩამოვა, თითო საჩვენებელი იქნება... წევი-
ყვან მათ მეუფებასთან... ის წინ შევა... არა, შვილი მამაზე
ყოველთვის უცრისა—მე წინ შევალ, ის შემომყვება. მდა-
ბლიდ თავს დაუკრავ, ხელს ვემთხვევი ეპისკოპოზს და მოვა-
სენებ: „აი ვითარცა აბრამს მომყავს, თქვენი მეუფებავ, პირ-
შო შვილი ჩემი და მოიღე კურთხევა“. აკურთხებს. მიესალ-
მება. გამოყითხავს ამბავს... შეატყობს, რომ ღვთის მოსავია,
კვევიანი და განათლებაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს—ყველა-
ფერი იცს: ზევით ვარსკვლავთა რიცხვი, ქვევით ერთა და
სახელმწიფოთა გულის საიდუმლონი. ეფისკოპოზი სთხოვს:
„ეხლავე არხიმანდრიტად გაკურთხებ, და ერთ წელიწადში
ქორ-ეფისკოპოზის უნდა ელოდეო“. გამიხარდება. მარა ჩე-
მი გრიგოლა ეტყვის: „ნება მომეცი ღმერთს შევევედრო, მო-
ვიფიქრო, ღირსი ვარ თუ არა მძიმე ტვირთი მღვდელ-მონა-
ზენის მივიღოვო“. ეფისკოპოსს მოეწონება თავმდაბალი პასუ-
ხი... ვერ მიხვდება, რომ გრიგოლის სხვა უფრო დიდს ადგილს
სთავაზობენ და ჯერ ვერ გადაუწყვეტია რომელზე დასთან-
ხმდეს... გუბერნატორი ეხვეწება მაზრის უფროსობა იკადრე
ამ ხანის მერე კი გუბერნატორი რომ იქნები, სიტყვას გა-
ძლევო... თავად-აზნაურობა წინამღლობას ეხვეწება.

აქ ცხონებულს მოაგონდებოდა, რომ ყველა თანამდე-
ბობათა შეერთება არ შეიძლება, და კანონის ძლიერ უკმა-

სურათებიანი ღამატება

გაზეთის № 615

დამატების № 108

გვირა, 3 ივნისი 1912 წ.



ყოფილო რჩებოდა. იგი ამ ღროს დიდი მომხრე იყო ერთ
კაცს ჰქონებოდა სასულიერო, სამოქალაქო და სამხედრო
უმაღლესი უფლებანი.

მაგრამ განსვენებულის სვიმონ მღვდლის დიდი იმედები
ვერ გაამართლა მისმა ვაჟმა, დედის ერთა გრიგოლამ. სასუ-
ლიერო სასწავლებლის მესამე კლასიდან ფორხილი დაიწყო,
სემინარიის პირველ კლასში დარჩა და მეორე კლასიდან გა-
მოვიდა.

სვიმონამ შეჩვეული საკუთარი მრევლიც კი მიატოვა; პა-
ტარა ეზო გაყიდა; ქუთაისის ერთ ჭაობიან ბნელ ქუჩაზე თა-
ვისი პატარა სამ-ოთახიანი ოდა გადმოიტანა და ქალაქის ახ-
ლო მდებარე მიწერილ ეკლესის მეორე მღვდლიად შევიდა,
რომ შვილისთვის ყური იგდო.

ამაოდ.

გრიგოლია უნიკობის გამო დაითხოვეს მეორე კლასიდან.
სვიმონ მალე გარდაიცვალა.

ძნელი გამოსაცნობია, რამ მოუსპო დღე. ჩვეულებასა
და ჰაერის გამოცვლამ, იმედების გაცრებამ, რამე სენმა,
თუ ისე —მოვიდა სიკვდილი და მოჰკლა.

ქვრივს დაუნიშნეს რვა მანეთი პენსია.

რას გასწვდებოდა ორ ადამიანს, ისიც ქალაქში!

კიდევ კარგი, რომ ქერი ჰქონდათ, სადაც თავს აფარებ-
დნენ.

გულში ვინ იცის რას ფიქრობდა სუსტი, უნიკო, მაღალ-
მაღალი გიგოლია, საქმეს კი არა ჰყიდებდა ხელს, და საწყა-
ლი ქვრივი არაქათ-გამოლეჭლი რას არ აკეთებდა, რა ხერხს
არ ხმარობდა, რომ სიმშილიდან თავი დაეხწია.

ასეთი მდგომარეობა სამუდამოდ უცვლელი დარჩებოდა,
რომ ვიღიასაც სამადლოდ არ ეთქვა მზეზე მახეტიალე გიგო-
ლასთვის: „წალი, ფოსტაში ადგილი იხსნება, იქნებ, მოგცენო“.
გიგოლა გაექანა.

მხოლოდ ამ სიჩქარეზე თუ შეატყობდა კაცი, რა მოსურნე
იყო ეს უსიტყვო ბიჭი, დედას დაჰმარებოდა.

მცირე ადგილი, რომელიც იმ ღროს თავისუფალი იყო
ადგილად მიანიჭეს გრიგოლას, რადგანაც მასავით ნასწავლი
სხვა არავინ გამოცხადდა.

ამ ადგილს აღარ გაჰშორებია გიგოლა.

როგორც პირტიტეველა, თხელი ყმაწვილი არტყამდა ბე-
ჭედს სხვა და სხვა, უნიშვნელო წერილებს, ისე თხელ წვე-
რიანი, კბილებ ჩამტვრეულ-ჩაყვითლებული, საფეთქლებიან
თმაში ჭალარა შერთული გრიგოლის სცდილობდა დროზე და-
ემთავრებია წერილების გროვაზე ბეჭდების დასმა.

ამაოდ!

წერილები სოკოზე სწრაფად ამოდიოდა; ზღაპრულ მდე-
ვის თავებივით მრავლდებოდა.

გრიგოლას შემდეგაც ბევრი შევიდა სამსახურში. ერთ-
ხანს ერტყა გრიგოლასავით ბეჭედი და მერე ან დაზღვეულ
ბარათების მიმღებად გადიყვანეს, ან მარკების ყიდვა მიან-
დეს. ზოგიერთი გრიგოლის ამხანგი ცალკე განყოფილების
უფროსადაც კი დანიშნეს. გრიგოლის ხშირად ამჩენების გვერდში
მდგომად მოხელეს, ხშირად გაკვირვებით უყუ-
რებდა ახლად მოსულ ამხანგს, რომ მოადგილე სადღაც მიმა-
ლულიყო.

თვით გრიგოლის კი მხოლოდ ერთხელ მოუმატეს ჯამა-
გირი—ოცის მაგიერ თცდა-ხეთი მანათი მისცეს; მხოლოდ
ერთხელ რაღაც მენდალი უბოძეს „დიდი სნის უმწიკვლო სა-
მსახურისთვის“.

თ ბ რ ი ბ ს ვ ი მ ი ნ ი ც

გარდაც



უკანასკნელი სურათი.



60 წლისა.

ერთ თოვლჭყაპიან დღეს გრიგოლა აღერლილი დაბრუნდა—გაცივებულიყო.

მოხუცმა დედამ ცხელ წყალში ფეხები ჩაადგმევინა.

სახლში თუმცა დადიოდა გრიგოლა, მაგრამ სამსახურში იმ დღის შემდეგ ველარ წავიდა.

დედა ირეოდა.

ქინა-ქინა მიიღო. საოფლე ჩიი დალია. სახეზე თითქოს ჩვეულებრივზე უკეთესად იყო, მაგრამ სახლს ვერა შორდებოდა.

ისევ და ისევ შინაურ საშუალებას არ აკლებდა დედა: მურაბას უკეტებდა, მეზობლის ქალის მიერ მიცმულს წვეთებს ასმევდა, რაღაც აბებს აყლაპებდა, მაგრამ.

ამოდ!

დედა ირეოდა.

ფერშალმა იშუო სიარული. წამლებს უწერდა. ხან გამარჯვების ნიშანად გაიძახოდა „სიცხემ დაიწიაო“, ხან ბრძნულად ამბობდა „აიწია, მარა არაფერიაო“.

დედა ირეოდა.

როცა ერთ დღას საწყალ ქვრივს ტაშტი მიჰქონდა, დაიძახა:

— ვა შვილო, ამდენი სისხლი რა ღვთის რისხვაა ჩემზე. საღამოს ფერშალი მოვიდა.

დედა ირეოდა.

— ვიღუპები! მიშველე ღვთისნიერო-ჩუმად ეუბნებოდა დედა ფერშალს.

— რა იყო, შე ქალო?!.. სიცხეს ქე დაუკლია, და მეტი ახლა... მე ღმერთი კი არა ვარ!..

— დედა, შენ ვინ შეგბედავს რასმე, მარა ერთი ტაშტი სისხლი დაუქცევია!.. რა ვქნა, რა წყალს ვეცე?.. მითხარი მაინც.

— მევიყვანოთ ექიმი...

— მევიყვანოთ, მევიყვანოთ, შენი ჭირიმე, თუ კი რამე გვეშველება... მარა—დაირცხვინა დედაკაცმა—რამდენი უნდა მივცეთ?

— სამი მანეთი.

— ვაი შვილო!..

— აბა ჩემსაკუთ ვინ რა იღყეუბა! — თითქმის საყველურით უპასუხა ფერშალმა, რომლის უანგარობას არ აფასებდონ.

— არა, ბატონო, მავისთვის არ მომისხენებია, მარა გვი-შველის რამეს?..

— რა ვიცი ახლა?.. ღმერთი არც ის არის და მორჩენით მაგისთანა ავალმყოფი მეც ბევრი მომირჩენია.

— კარგი, ბატონო, ღოუძახე ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს. მე გვახლებოდი, მარა ვერ მივაგნებ.

— ფული ხომ გაქ დამზადებული — ის კი არ მოგიცდის.

— თლათ არ გაქ, მარა აგერ სიდონის დევესესხები.

— ხო და წამლის ფულიც დემზადე; მეც რომ მომცემდე ცოტას კაის იზად.

— კი შენი ჭირიმე, აპა სხვისთვის რად მინდა, თუ კი რამე გამაჩინია. შენ ერთი ორი დღე კიდო მოგვიცადე... აგერ ჯამაგირს ეიღებს და მოგარომევ.

ფერშალმა თავი გადააწერა.

ექიმი ღილანს არ სინჯავდა ავალმყოფს. გულზე, ბეჭიე დაადგა ყური, წარბ-შექმუხვნილი, გულმოსული დაეკითხა ფერშალს სიცხის ცვალებადობაზე და, რადგან ფიქრობდა იქ რუსული ფერშალის გარდა არავინ იცის მკვახედ მიაძახა:

— გდე ვა დო ესხ პორ ნედი? იმა უჯ ტრუქ.

ექიმს წამლიც არ გამოუწერია. ურჩია მხოლოდ: „რძე. სვი, კვერცხი ჰყლაპე და ფანჯრები ხშირად გააღებინე, რომ სუფთა ჰაერი შემოვიდესო“.

— რა თქვა, რა? — მივარდა დედა ფერშალს, როგორც კი ექიმი კარებში მიიმალა. ავალმყოფმა არ დააცალა ფერშალს პასუხის მიცემა.

— არაფერი, დედა, არაფერი! მალე კარგად იქნებაო.

— ღვთისნიერი კაცია ის ექიმი — ფული არც ქე წილო — ეუბნებოდა ცოტა ხნის შერე ფერშალი დედა-კაცი. — ამას მე დევიტოვებ. კიდევ ორ-მანეთ ნახევარი დარჩება.

— მოგარომევ, ბატონო, ზეგ მობრძანდები და მოგარომევ.

— სხვა რა თქვა შენი ჭირიმე?...


არაფერი: ისე უწამლე, როგორც წინათო. ოღონდ მეტი რე ასვი და კვერცხი აყლაპეო. გარდა ამისა ფანჯრები უნდა გაალო ხშირად — ჰაერი გაიწმინდება.

გ ვ გ ე ტ ა შ ვ ე ბ რ ი ს

ის გამო.



65 წლისა.



45 წლისა.



22 წლისა.



35 წლისა.

დედა მაინც ირეოდა.

მეორე დღეს ავადმყოფი უფრო კარგად გამოიყურებოდა. გიგოლამ სასთუმლიდან ძველი ქისა გამოიღო, სანთელი მოითხვა, ქისიდან რალაც სურათი ამოიღო დახედა და დასწვა. მერე საწერ-კალაში მოატანინა და სუსტის ხელით დასწერა:

ქალბატონო ვერიკო!

ძლიერ ავად ვარ. ვერ ავდგები. წინადაც ვატყობდი, რომ თქვენი ლირისი არ ვიყავი ამიტომ გადაჭრილს ვერაფერს გეუბნებოდით. მადლობა ღმერჩს, რომ ქვრივი მაინც არ დამრჩით. რა იქნებოდით? ჩემს სანახავათ ნუ მოხვალთ—სახელი გაგიფუჭდებათ. ჩემს გასვენებას კი უსათუოდ დაესწარით. მგონია, ვიგრძნო. თქვენი სურათი და წერილი დავწვი, რომ არავის ენახა. ცუდი ენა აქვს ხალხს: როცა ვლოცულობდი, თითქოს ხატის წინ დაჩოქილი ვყოფილიყავ. ღმერთი ისეთს ცხოვრებას მოგანიჭებთ, როგორიც ლირის ხართ. როცა გაბედნიერდეთ შემატყობინეთ,—მიამება, რომ ჩემთან შეხვედრას არ დაუჩაგვრიხართ.

თქვენი უკუნითი უკუნისამდე გრიგოლ.

ეს წერილიც დახიერ—არ ვარგა, რომ ვისმე ჩაუვარდეს ხელში.

ბარათი პაკეტში ჩასდო, მისამართი დაწერა, ფანჯარი—დან პატარა ბავშვს დაუძახა და სთხოვა ფოსტის ყუთში ჩაეგდო.

კოტა ხნის შემდეგ გრიგოლამ დედას უთხრა:

— დედა, წადი, ჩემი ჯამაგირი აიღე. იქვე საამხანავო კასის ზედამხედველი იკითხე და გამოართვი რაც კი მერგებოდეს სულ ხუთი ან ექვსი თუმანი იქნება. გზაზე მიყიდე ვარდის წყალი, ტკბილეულობა, ყვავილები: ია, ზამბახი, ვარდი, ია-სამანი, რაც კი შეგხვდეს ლამაზი და სურნელოვანი.

— რად გინდა, შვილო, რა გემართება?! რაებს მეუბნები...

— კი, დედა, კი! ექიმმა მითხრა სიამოვნება მოგიხდება, მალე მოგარჩენო და მიტომ გეუბნები.


— რამდენის ვიყილო?

— არ ვიცი, დედიკო... ჩემნი დიდი კალათი სულ ყვავილებით გაავსე. ექვს-შვიდ კაცს რომ ეყოს იმდენი კონფეტები, რმიანი პური იყიდე... მერე შოკოლადი... მართლა დედა. შენ ყველაფერს ვერ მოახერხებ. ამ სალამოსთვის დაპატიჟელიზიკოს სთხოვე, დაგეხმაროს და ის ყველაფერს გასწავლის.

რ უ კ ა ქართველთა მუსახლეობისა წსმალეთში.

ს რ ც ხ ე	სოფლების სახე- ლები.	რ ც ხ ე	ს რ ც ხ ე	სოფლების სახე- ლები.	რ ც ხ ე
1	საბაჯა.	160	28	თათარ ქეი.	30
2	ჩუბუკლი.	80	29	ბორჩა (პამედი)	130
3	აჭედი.	60	30	უნი.	10
4	მაპედი.	60	31	ჩერქეზ-ქეი.	20
5	აბაზეი.	20	32	ლუფუი.	30
6	ლერდენი.	50	33	სოფი.	25
7	შირინ-სულხია.	60	34	ბაშქირე.	30
8	შეისული.	80	35	აბმედი.	40
9	თათარ-ქეი.	40	36	ჩატალტაში.	20
10	ბილაბა.	30	37	ალანჩანი.	40
11	ჩეფნი.	100	38	ბალკაია.	34
12	თელინ-კუნდუ.	40	39	ბიჩქიდერე.	50
13	ყაზანდერე.	30	40	გულდი.	50
14	სერვეთი.	50	41	დიბეკტაში.	90
15	ალსალირი.	20	42	თეზე.	30
16	დალინ-ლული.	60	43	ილმი.	30
17	იქი-მელე.	50	44	ირშადი.	30
18	შევკეთი.	15	45	მემნუნი.	50
19	იჯადი.	20	46	ნაიდი.	120
20	ნემეთი.	15	47	პაჭა ჰადიმი.	40
21	ხესნი.	50	48	სენი.	50
22	შეილიკი.	50	49	სალამი.	50
23	ჩურუქ-ბაი.	30	50	ულვი.	50
24	შემური.	30	51	ური-ჩეხმე.	30
25	ფერადი.	20	52	შეპრეთი.	45
26	დაშემე.	60	53	შუქრი.	40
27	ასარ-ქეი.	10	54	ჰაჯი-მერჯან.	60

სულ: 2524 კომლ.
კომლზე 8 სული რომ
ვითარიშოთ გაზიფა
20,192 სული.



რ უ კ ა ი ს მალეთის ქართველ
მაჲმადიანთა სოფლებისა
ს მითის საწყიში (მართველი)

ნ ი მ ე ბ ი უ. რაზები.
რუსი გენერალი.
სამართლისა და სამინისტროს მმართველობისა

— გიყვარს, შვილო?

— არა! არა, დედა! კარგია და მინდა იმასაც ვასიამოვნო.

გიტარასაც დაუკრავს. იოსებიც დავპატიუოთ, ლიზიკოს ემბება.

— არ მოვა, შვილო, არ გვიყადრებს.

— შენ ოღონდ უთხარი, რომ ლიზიკო ჩვენთან იქნება და მოვა.

— კარგი, შვილო, კარგი. ყველაფერს ლიზიკოს ვკითხავ. თუ საჭირო იქნა, სიღონიასაც მოვიხმარ.

— კი დედა ეს წიგნიც მიყიდე. ლიზიკოს ეცოდინება, საღ იშვევება. დედა არ დაგავიწყდეს: ლიზიკოს უთხარი, მისი პატარა ძმა კოტე წამოიყვანოს.

— ოღონდ შენ გეამებოდეს და თუ გინდა მთელ ქუჩას შევკრებ.

— ერთი ბოთლი ღვინი და პატარა საუზეც წამოიძღავა.

ასე უცნაურად თავის დღეში არ იქცეოდა გრიგოლი და ამიტომ

დედა ირეოდა.

სალამოს გრიგოლის ოთახი არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა.

ორი ლამპის გარდა, რამოდენიმე სანთელი ენთო. ისამანის სურნელება იღვა. ლიზიკო, ოქროს თმიანი, სასწავლებლის მოქლე კაბაში გამოწყობილი ხან გიტარას უკრავდა ხან სუფრას აქ ყობდა; მისი მიჯნური, იოსები, მეორე ხარისხოვანი მოხელე, აქ დიდ კაცად მიჩნეული, ხან გიტარას დამღერდა — ქალის ეშნით ხმა უტკბებოდა — ხან მოწყალედ ბაასობდა გრიგოლთან.

გრიგოლის დედა, დედეს სუფთად გამოწყობილიყო. სიხარულით სახე ულიმოდა.

გრიგოლი, როცა პატარა კოტიკი წასვლას დაპირებდა, ხუჭუჭი თმაზე ხელს გადუსვებდა და ყვავილებსა და კონფეტებს სთავაზობდა.

სტუმრები ნასიამოვნები დაიშალნენ.

ლიზიკომ ხუმრობით უთხრა გრიგოლს:

— გრიგოლ, თქვენ პოეტი ყოფილხართ ისე გყვარებიათ მუსიკა, ყვავილები... რას მივაწეროთ, რომ დღემდე ეს ნიჭი ვერ შეგიაჩნიეთ.

— ლურჯსა ფერს,

ცისა ფერს

სიყრმიდან ვეტრფოლი — დარცხვენილის ლიმილით უბასუხა გრიგოლამ, იოსებამ დიდი მაღლობა გადაუხადა დედა შვილს.

— ეხლა კარგად გამოიყურები, შვილო, — უთხრა დედა გრიგოლის, როცა მარტო დარჩნენ.

— ასე იცის, დედა, სიამოვნებამ. აწი ყოველთვის კარგად ვიქნები, მარა, თუ რამე დამემართოს, ნუ შეგეშინდება. ეს სახლი გაქნა. პატარა პენსია. ჩემთვისაც მოგცემენ ცოტა შემწეობას.

— მანამდი თვალი-კი დამიღვა... რას მეუბნები, შვილო...

— ჰო, დედა, ყველაფერი მოსავალია... გთხოვ ერთი წირი ვისა და უბრალო კუბოს მეტი არაფერი დახარჯო.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, შვილო! დეიძინე დაღალული ხარ.

შვილის მომავალ ბეღზე სასოწარკვეთილი დედა ირეოდა გრიგოლი კედლისკენ გადაბრუნდა. მეტი ხმა აღარ ამორი ულია.

მეორე დღეს სული განუტევა.

დედა ირეოდა.

6. ლორთქიფანიძე.